



**შემოსავლების
სამსახური**

ბრძანება N 33024

19/11/2018

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის 12⁴ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12⁵ პუნქტი:

„12⁵. „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები)) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, ამავე რეგლამენტის 1² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის წარუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარანტს გადასცემს „შეტყობინებას სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I-06) და ადგენს ნაკლოვანებების აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) ან საქონლის უკან დაბრუნების ან მის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის 6 სამუშაო დღის ვადას, რომელიც აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან.“;

ბ) „დანართი №I-05“ შემდეგ დაემატოს „დანართი №I-06“ შემდეგი რედაქციით:



საბაჟო დეპარტამენტის

(სტრუქტურული ერთეული)

შეტყობინება

სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის
ვალდებულებაზე

(პირის დასახელება/ გვარი, სახელი)

(საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპ. №)

(მისამართი)

ვინაიდან თქვენს მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სამშენებლო პროდუქტის

(საქონლის დასახელება)

შემოტანისას არ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით
დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ 1² მუხლის პირველი პუნქტით
გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ი, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (მითითებული დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა),
საქონლის უკან დაბრუნების ან საქონლის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის
განსაზღვრისათვის გეძლევათ 6 სამუშაო დღის ვადა (ათვლემა სასაზღვრო კონტროლის განხორციელების
დასრულებიდან), 20__ წლის _____ ჩათვლით.

მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენი ხარჯით განხორციელდება
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

ჩავაბარე _____
(უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

ჩავიბარე _____
(პირის ხელმოწერა)

შენიშვნა _____

“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლამქარაძე ვახტანგ

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

